№ 66 30 თიბათვე, ოთხშაბათი 1866—1876 30 თიბათვე, ოთხშაბათი № 66


# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

**რედაქცია**

ველიამინოვის ქუჩაზე, Артемъ ჩაიგეშტოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

**გაზეთის ფასი**

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


ქართული ბიბლიოთეკა

## საქართველო

### ერთი რამ საჭიროება

„წასრულიდგან აწმყო მომდინარეობს, აწმყოდგან მომავალი, და თუ გვინდა ვიქონიოთ რამე გაგლენა აწმყოზე და მომავალზედ, უსათუოთ წარსული უნდა გავიცნოთ და შევისწავლოთო.“ — ამისთანა ჭეშმარიტი ხშირად გამოუთქვამთ ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ გაუკეთებიათ რამე მის შესასრულებლად? არა. იმიტომ არა, რომ უძველოს ენის განძრევა უფრო ადვილია, ვიდრე ძველებით დამძიმებულ ხელებისა.

სანამ იმ კაცებს, რომელნიც სიტყვით ჰქადაგობენ კეთილს რასმე, მაგრამ საქმით კი მისთვის არას შვრებიან, სანამ იმისთანა კაცებს განვიცხვიდეთ, ჯერ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება.

×

ჩვენს საუკუნემდი საქართველოს განაგებდნენ მეფეები და თავადები. აქედგან დაწყებული კი საქართველოის ცალკე მეფობა მოისპო. მეფის გვარის შვილები რუსეთში გადასახლდნენ. მართალი უნდა ვსთქვათ, ეს მეფის გვარის შვილები კეთილსინდისიანად შრომობდნენ საქართველოს ისტორიისთვის. ჯერ დავით (წარსულ საუკუნის ბოლოს) და მერმე თეიმურაზ ჰსწერდნენ ამის შესახებთხზულებებსა. მაგრამ მათი ცოდნა და შრომა, შეიძლება ვსთქვათ, ისევ მათთან დარჩნენ. ბარემოების გამო მათ ვერ შეიძლეს თავის სწავლის გავრცელება. და რაღაა ის სწავლა, რომლის გავრცელება არ შეიძლება! სწავლამ უნდა მოიპოვოს გავრცელების გზა და ან უნდა გაჰქრეს.

უფრო მეტი შეეძლოთ ამ გზაზე თავადებს, რომელნიც დიდის გავლენით და უფლებით დარჩნენ საქართველოში; მაგრამ მათ ცოტა გაგება ჰქონდათ და კიდევ ნაკლები სურვილი. მათ ეგონათ, რომ ისტორიის ახსნას შეადგენდა მათის ქალალდების გამოაშკარება, რომელნიც ამტკიცებდნენ მათს მაღალ ხარისხის შთამომავლობას, და ქართველ ხალხის განსაკუთრებულ თვისებად მათ მიიღეს კახური ღვინით დათრობა და ცხელ წვადებით გაძღომა.

ამას მოჰყვა მეორე შთამომავლობა, რომელმაც ცოტაოდენი კი იშრომა, მაგრამ ბევრი რამ არ გაუკეთებია, რადგანაც წინანდლების მიმართულებას ბევრად არ მოშორებულან.

საქმემ დღევანდელ მოქმედებამდი მოაწია. ამ მოქმედებამ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, ყოველი კაეშირი გაჰსწყვიტეს თავიანთ წინასწარებთან. ამის გამო იგინი დარჩნენ უზეპირგადმოცემოთ, წარსულის უამბვოთ. ამათ არათუ მოშორებულს ჟამზე არა იციანრა, არამედ მოახლოვებულ დროსაც ვერ იცნობენ, თუ თვითონ არ დაჰსწრებიან.

ყოველ სწავლას თვისი საგანი აქვს და ამისგამო თვისი უფლება არსებობაზე. მისი მოსპობა, საგნის სიბნელეში დაუტოვებელად, კაცის გონების დაუსუსტებლად და ცხოვრების ნაკლულ ევანების უგრძნობელად, არ შეიძლება. ეს კარგად ესმისთ ჩვენს მოქმედებს. მათ გაიგეს, რომ ვერაფერი ფილოსოფია ვერ იზამს ისტორიის მაგიერობას. მაგრამ რათ გინდათ: აქ მარტო სურვილია და ნაყოფი კი არა.

×

უნაყოფობის მიზეზიც აქ ის არის, რომ იგინი ცალ-ცალკე მოქმედებენ. რადგანაც თვითოეულს დიდი ძალა და ლონისძიება არა აქვს, მისს შრომასაც დიდი ნაყოფი არ გამოაქვს. ამისგამო ზოგიერთები სრულებით ჰსტოვებენ საგანს და ზოგიერთები კი, ნახევრად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი, ნელ-ნელად და დალონებულად მიიწევიან წინ.

სხვა ნაწილებში კი გაიგეს, რომ თუ თვითოეული მათგანი უძალოა, თუ თვითოეულს არც სიმდიდრე აქვს, არც ბრწყინვალე გვარი, არც მემკვიდრეობითი გავლენა, ერთ სიტყვით მათ გაიგეს, რომ, თუ თვითოეული მათგანი ცალკე, ყოველის მხრით, ცოტა რამეა, ყველანი ერთად კი ბევრს რასმე შეადგენენ. დროა დარწმუნდნენ, რომ ამგვარ მოსაზრებას აქაც აქვს ალაგი. აქაც ერთობით უნდა შეუდგნენ, ერთობით გაჰკაფონ გზა ჩვენის ისტორიის გასაცნობად და მის გასავრცელებლად.

ისტორია მარტო ჩვენ საზოგადოებისთვის არ არის საჭიროა, არამედ ყოველ საზოგადოებისათვის; რა დროსაც და რა გარემოებაშიც ის უნდა იყოს, ისტორია საჭიროა. ყოველს საზოგადოებაში წევრებს უფლებანი და ვალდებულებანი უნდა ჰქონდესთ. უამისოთ თხის, ცხვრის და რაც გინდათ იმის ჯოგი იქნება და არა კაცური საზოგადოება. და ამ უფლებების და ვალდებულების საცნობად საჭიროა ისტორია, ე. ი. მთელის წასრულ ცხოვრების სახე, ხალხის წინანდელ მოქმედების სურათი.

×

აქ ერთი უცხო მცენარე მაგონდება, რომელიც პარიჟის ერთს ბაღლი ენახე. ამ მცენარეს ფოთლები დაიწყებიან მიწის ზედაპირიდგან, რომელნიც ებმებიან მას ღერის ირგვლივა. წელიწადი რომ გათავდება, ე ფურცლები ჩამოცვივიან, რასაკვირველია, მაგრამ მის ადგილზე, ნიშნათ, შტოებსავით რაღაც რჩება, რომელიც ღერზე ჯვუფ-ჯვუფად შემორტყმული დარჩება. მეორე წელს მცენარე რამოდენიმეთ აიწევს და წინანდელ ფოთლების ზევით, ძრიელ მახლობლად იზდება მეორე წყება ფოთლები. ესეც თავის ნაშთს დაჰსტოვებს და ესე შემდეგ. მაშ ყოველ წელს თქვენ ხედავთ ზევით წლევანდელ ფოთლებს და ქვევით მათის წინასწარების ნაშთებს, რომელნიც გიმოწმიბენ ამ წინასწარების სიუხვეს ან სიღარიბეს. აბა მითხარით, განა ამ მცენარის შესწავლა სრული იქნება, რომ მარტო წლევანდელ ფოთლებს მიაქციოთ ყურადღება?

სწორეთ ამ ფოთლებს შეედარებიან რომლისამე ჟამის საზოგადოების წევრნი: მათის გასაცნობად საჭიროა ყველა იმ წინასწარების გაცნობა, რომელთაც წინეთ უმოქმედნიათ. საზოგადოება რომ განირჩევა ხოლმე იმ მცენარიდგან, იმით განირჩევა, რომ იმას გონება და გრძნობა აქვს, რომ იგი თვითონ ჰსწავლობს თვისს ცხოვრებას და თვითონ ჰგრძნობს მისს საჭიროებას. საზოგადოება ჰსცდილობს, რომ წინ წასწიოს თვისი ცხოვრება. თუ რომელსამე ჟამს მან არაფერი გააკეთა, ამისთვის მომავალი შთამომავლობა იტყვის, რომ ამ ჟამს ჩვენს საზოგადოებას უნაყოფოთ უცხოვრიაო.

×

მერმე ესეც ვთქვათ, რომ, საზოგადოების წევრების ვალდებულების შესასრულებლად, ამ ვალდებულების მარტო ცნობა არ არის საკმაო. ბარდა ამისა საჭიროა, რომ მათ ჰქონდესთ იმ საზოგადოების სიყვარული, რომლისადმი ვალდებულება მათ აძევსთ. აქ კიდევ ისტორიაა მომხმარი: ის შეგვაყვარებს მამულსა და თანამემამლეებსა, ის გვაჩვენებს, თუ მამულის ერთობამ, ჩვენს წინაპართ ურთიერთობამ რა სასწაულებრივნი საქმენი მოახდინა. ეგების, ეს ერთობა და ძმობა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ დღემდიც ბარბაროსები ვიქნებოდით, ანუ, სხვა ხალხების მიზეზით, ჩვენი სახსენებელიც აღარ იქნებოდა დედამიწაზე.

სწორეთ გვრცხვენიან, რომ ჩვენს დროს ვამტკიცებდეთ ამ ჭეშმარიტებას, რომელიც ვახუშტიმ მეთვრამეტე საუკუნეში გაკვრით მოიხსენა იმ იმედით, რომ ამ ჰაზრს განუმარტებელადაც გაუგებდნენ მას!

×

მაგრამ ჩვენ მაინც სიტყვა უნდა განვაგრძოთ შემდეგ მოწინალმდეგე ჰაზრების გამო, რომელიც ხშირად გვესმის:

— „აბა, ერთი გვითხარით: საქართველომ მთელს თვისს ცხოვრებაში გამოაჩინა რამე საკუთარი პრინციპი? მისის მოქმედებებით მან შეჰსძინა რამე კაცობრიობას? ჩვენ ვხედავთ, რომ ებრაელებმა ერთს ასპარეზზე გამოიჩინეს თავი, რომაელებმა მეორეზე, ბერძნებმა მესამეზედ და ესე შემდეგ და ყველა ამ ხალხების გამოცდილებებით სარგებლობენ თანამედროვე ხალხები. თუ საქართველოს აქ არაფითარი წილი არ აქვს, მაშ რად უნდა ღირდეს მისი ისტორია?“

არცერთი სულელი არა იტყვის, რომ ამ მხრით ქართველებს ზემოხსენებულს ხალხებსავით მდიდარი ცხოვრება ჰქონოდესთ, რომ ქართველებსაც იმისთანა პრინციპი გამოეჩინოსთ, რომლის შედარება შეიძლებოდეს ამ ხალხების პრინციპებთან. მაგრამ მთლად ნუ დაეიმდაბლებთ თავს—როგორც თავის ამაღლება, ისე დამდაბლებაც სირცხვილია—ნუ ვიტყვით, რომ ჩვენ წინაპართ ცხოვრება ფუჭეთ ჩავაროს. თუმცა ქართველებს რომაელებსავით სიმართლე არ შეუმუშავნიათ, თუმცა ქართველებს ბერძნებსავით ფილოსოფია არ განუმარტნიათ, თუმცა ქართველებს ებრაელებსავით საკუთარი რჯული არ დაუმყარნიათ, მაგრამ ქართველებმა შეიმუშავეს მრავალი წერილ-მანი ვითარებანი, რომელნიც შეადგენდნენ მათს განსაკუთრებულ თვისებას, მათს ხალხოსნობას.

იმიტომ რომ ეს ვითარებანი წერილმანნი არიან, რომ მათი ჯამი, და არა თვითო-თვითოთ, შეარდგენს ქართველების განსაკუთრებულ ხასიათს, ამიტომ, ვამბობთ, მათის მნიშვნელობის გაგება და ნამდვილად წარმოდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მათ ერთად გაიცნობთ, როცა ქართველების ისტორიას ერცლად შეისწავლით.

და იმის დამამტკიცებელი, რომ ქართველების ხალხოსნობა შემდგარი იყო—ამათი პოლიტიკური ცხოვრებაა, რომელიც იმოდენი ხანი დაიცვეს აუარებელ მტრებისაგან.

×

თანახმა ვართ, რომ ამ საქმეში დიდი წილი ჰქონდა სარწმუნოებას, მაგრამ მირტო ის არ იყო მიზეზი. სარწმუნოება აქ იყო უმთავრესი და უპირატესი მიზეზი, მაგრამ იგი მხოლოობითი არ იყო. ეგების, სარწმუნოება რომ მარტო ყოფილიყო, ქარ

თველებს, როგორც ებრაელებს, სპარსეთის ან ოსმალეთის ხელქვეშაც ეცხოვრათ თავის სარწმუნოებით, იდუმალად იქნებოდა თუ ცხადად.

კიდევ ვიმეორებთ, რომ, რაც შეეხება გონებითს და ნივთიერებითს მხარეს, ქართველებს სხვა დიდ ხალხებსავით არ შეუტანიათ კაცობრიობის საუნჯეში დიდი რამე. მაგრამ მათ საკუთარი თვისება, ხალხოსნობა მაინც ჰქონიათ. რადგან ეს ასეა, სხვა ხალხების გაცნობა მის გასაცნობად საკმაო არ არის.

×

ამასაც ვიტყვით: კაცის ცხოვრებაში ერთი მხარეა, რომელსაც ჩვენ სხვებზე უპირატესობას ვაძლევთ, რადგანაც იგი ყველაზე უფრო საჭიროა საზოგადოებაში და რადგან იმაში ყოველ კაცს ადვილად შეუძლია გაუსწორდეს თვითოეულს თვისს თანაწევრსა, თუკი მას ჰსურს. ეს ზ ნ ე ო ბ ი თ ი მხარეა, რომლის შესახებ ძველი საქართველო არც რომს, არც საბერძნეთს და არც არავითარს სხვა ხალხს უკან არ ჩამოუდგება.

„ჰსჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.“

აჰა, ამის შესახებ საქართველოს პრინციპი! ვინც იტყვის, რომ ეს პოეტის ცალიერი სიტყვებიაო, ან მხოლოდ მისი იდეალიო, იმას ყველაზე უფრო ეჭვერება საქართველოს ისტორიის გაცნობა; იმას დაჰსჭირდება ჩვენი რჩევაც, რათა მან სახეში იქონიოს ქართველების რიცხვი ძველს და ახალს დროებაში.

ჩვენის საუკუნის დასაწყისის საქართველოს მოქმედებების შესახებ ერთი ფრანციელი მწერალი და მხედარი ამბობს, რომ „ამ მოქმედებებს ერთ დროს ისტორია მჭევრმეტყველობის მშვენიერებით და პოეზია ლექსების ჰარმონიით შეამკობენო.“ ესვე უნდა ითქვას ყოველის ჟამის საქართველოზე, რადგანაც მისი მოქმედება მუდამ ერთის და იმავე ხასიათისა იყო.

ა. ჭ.

პარიჟი, 16 ივნისს

(დასასრული შემდეგ №-ში)

## დღიური

—

იმ ფოთიდამ მიღებულ კორრესპონდენციის შესახებ, რომელიც ჩვენი გაზეთის მე-59 №-ში იყო დაბეჭდილი, კიდევ სამი სხვა შენიშნვა მოგვივიდა, რომელთაგან ორი ფოთის სომხის მღვდლის გამართლებას სცდილობს და მესამე კი სრულიათ ეთანხმება იმ ფაქტებს, რომელნიც პირველს ჩვენს კორრესპონდენციაში იყო მოყვანილი.

ერთი მომხრეთაგანი ფოთის სომხის მღვდლისა თვითონ ფოთის სომხებს უბრუნდება და ეუბნება, რომ „თქვენ მედუდუკეებსა და მეორლანოებს, ქეიფობის დროს, ხშირად წითელ ბილეთებსა აძლევთო და მღვდლისა და ეკკლესიისთვის კი შაურის მიცემა გემძიმებათო....“ „ზოგნი ხუთი და ექვსი წლის უზიარებლები ბრძანდებითო და საზოგადოთ თქვენისთანა ქრისტიანებს, არათუ ერთი, თხუთმეტი მღვდელი არ ეყოფათ საქადაგებლადო....“

მეორე, ხსენებული მღვდლის გასამართლებლად, ამბობს, რომ „როცა კი ჩვენი მღვდელი ფოთს იმყოფება, მუდამ სწირავსო და როცა არ არის, რა ჰქნას, ფულს თქვენ იმდენს არ აძლევთო, რომ დროებით სხვა მღვდელი დაიჭიროს და აწირვინოსო.“

მესამე კორრესპონდენტს ამ მღვდლის სხვა ღირსებათა შორის ისიც მოჰყავს, რომ „კარგი ხმა აქვს და ჩინებული სიმღერა იცის სომხური და ქართულიო, და მაკარი ეპისკოპოსმაც ამიტომ გაგზავნა ფოთსაო, რომ ზღვის მღელვარების დროსაც კი გაეგონა მრევლს იმის ძლიერი ხმაო....“

რაც დაიწერა ამ საგანზე, ვისაც ჰსურს, იქიდამაც გაიგებს ჭეშმარიტებასა; ამის გამო დღეის შემდეგ ამ საქმის შესახებ ჩვენ აღარასა დავბეჭდავთ.

*
* *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს სასულიერო პირს ახალი ქართული „ქარაბადინი“ შეუდგენია, რომელსაც მალე დაბეჭდვინებს და გამოსცემსო. როგორც გვითხრეს, ეს წიგნი ოთხ ნაწილად არის გაყოფილი; პირველ ნაწილში არის მოყვანილი სწავლა ადამიანის აგებულებაზე და ცხოვრებაზე, მეორეში—ჰიგიენური სწავლა ჯანმთელობის დაცვაზე, მესამეში—სხვა და სხვა გვარი ავათმყოფობის ექიმობა და მეოთხეში—წამლები, მათი აწერა, თვისება, მომზადება და მოქმედება.

დიდი ხანია დრო იყო, რომ ქამისთანა წიგნი გამოცემულ იყო ჩვენში და თუ ის საქმის ცოდნით, კეთილსინდისიანათა და ადვილად გასაგებს ენაზე გამოიცა, რაღა თქმა უნდა, რომ დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით ამ ხეირიანი ექიმების სიძვირის დროსა. ამასთანავე აუცილებელად საჭიროა, რასაკვირველია, რომ ამგვარი წიგნი იაფი, ყველა გლეხის ოჯახისათვისაც ადვილად შესაძენი წიგნი იყოს.

*
* *

ამ თვის დამდეგს იმერეთის ზოგიერთ მხარეებში საშინელი წვიმები და ნიაღვარი ყოფილა. სხვათა შორის სოფ. საჩინოდამ გვატყობინებენ, რომ 5 თიბათვეს აქ ისეთი ნიაღვარი იყოვო, რომ კინაღამ მთელი ეს დიდი სოფელი არ წალეკაო. ერთი ურია თავის დუქნით წაუღია წყალს, მაგრამ როგორც იქნა გადარჩენილა. მის მაგივრად ერთი სხვა ურია და ერთი ქრისტიანი დაუღჩვია. ერთიც ურია წაუღია წყალს, ხეზე მიუკრავს და, ერთის საათის განმავლობაში, ისეთ ნაირად გაუსილავს, რომ თავის მეტი არა უჩანდარაო; ტანით სულ მიწაში იყო ჩაფლობილი, როდესაც მივიდნენ და ცოცხალ-მკვდარი ამოათრიეს იქიდამაო. უანებისთვის, ვენახებისა და ბოსტნებისთვის ამ წვიმას თვითონ საჩინოსა და იმის ახლო-მახლო სოფლებში დიდი ზიანი მიუცია.

*
* *

ჩვენ მოგვივიდა დ. საჩხერიდამ ეს პატარა შენიშნვა:

„წლეულ „დროების“ მე-44 №-ში დაბეჭდილი იყო, რომ საჩხერის მომრიგებელ სასამართლოში დაიკარგა ბათილობის წერილი, რომელიც საქმეში იყო ჩაკერებულიო, და ამ დაკარგვის გამო მოხველ გლეხებს სამი ათას მანეთს ახდევინებენო.

„ერთი ამგვარი ქურდობა ამ დღეებში მოხდა კიდევ აქ ამავე სასამართლოში: ვიღაც მოსულა ამ სასამართლოში, მისულა დაკეტილ სტოლთან, გაუღია, ამოუღია იქიდამ ფულიანი ყუთი, რომელშიაც თექვსმეტი თუმანი ფული დებულა, გაუტეხია, ეს ფული წაუღია და ყუთი კი იქვე ვენახში ნახეს მეორე დღეს.“

*
* *

სილნაღიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში აქ სიცხეები დაიჭირაო ასე, რომ არც ბალახია ჩვეულებრივად და სათიბათაც ბევრად ნაკლებიო.

*
* *

სილნაღიდამვე გვატყობინებენ, რომ ამ თვის 15-ს ერთი იქაური მოვაჭრე ბიჭი ზაქათალას მინავალა; გზაზე ლეკები წამოსწეოიან უკნიდამ, დაუციათ და სანამ თოფს მოაელებდა ხელს, მინამ ხანჯალი დაუკრავთ თავში და თავი ორად გაუპიათ.

ამ საქმის თაობაზე ახლა გამოძიება არისო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, და ლეკები დაჭერილი არიანო, მაგრამ რომელი ერთი უნდა აღმოაჩინოს გამოძიებამ, როდესაც ამისთანა შემთხვევები ასე საშინლად გახშირდა აქეთკენაო.

*
* *

შორაპნიდამ გვწერენ, რომ ერთს იქაურ მღვდელს, რომელიც, ამ უკანასკნელ ბლაღოჩინების კენჭის ყრის დროს, ძალიან გულით ცდილობდა ბლაღოჩინობასა, ეს მეცადინეობა იქამდინ მიუყვანიაო, რომ, ზოგიერთი ცუდი საქმეების ჩადენისათვის, ახლა გამოძიების ქვეშ არისო.

*
* *

ბაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რომ ჩვენს ქალაქში ბევრი ხელოსანი ხალხი აპირებს სტამბოლიდამ მოსვლასაო, რადგან, ამ უკანასკნელ დროის არეულობის გამო, იქ სამუშაო და ლუკმა-პური ველარ უშოვნიათო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ზემო-იმერეთი**, 10 ივნისს. შემთხვევა, რომელზედაც დღეს გწერთ, იმდენათ საყურადღებოა, რომ იმედი მაქვს, ცოტაოდენ ადგილს დამითმობთ გაზეთში და დამითმობთ მით უფრო, რომ ამგვარი შემთხვევა იშვიათი არ არის ჩვენში. საქმე აი რაში მდგომარეობს:

ბასულ 30 მაისს ერთს ქორწილში მაყრათ, ანუ დამსწრე კაცათ დავესწარი, სადაც ერთს ჩინოვნიკს ჰქონდა თავის თავი გამზადებული ლამაზი აზნაურშვილის ქალის საქმროთ.

სასიძოს სასძლო სადღაც ერთხელ ენახა ქორწილში, და დამყარებულმა ამ ერთხელ შორიდამ ნახვაზე მოინდომა ამ ქალის ცოლად შერთვა.

იმას ჯერ ხმა არ გაეცა საცოლოსათვის და არც ენახათ ერთმანეთი რიგიანათ.

ბაურიგდა სასიმამროს მზითევზე; რამდენიმე ქცევა მიწა უნდა მიეცა მზითვად; ეს მიწები დაფასებული იყო 900 მანეთად.

სასიძომ ისარგებლა სასიმამროს უცოდინარობით და ნოტარიუსთან შეასრულებინა თავის სახელზე ნასყიდობის პირობა „ზაპრადაჟნაია ზაპის“, რომ თუ ორს თვეში არ შეუსრულებდა ნასყიდობას, იმ შემთხვევაში სასიმაერო, როგორც 900 მანეთს თავზს, ეგრეთვე მეორე 900 მანეთს ჯარიმას მისცემს სასიძოს. მაგრამ ეს ადგილები რაში მიაქვს მას, ამის საბუთი სასიმაეროს არა აქვს რა.

შეასრულეს თუ არა საბუთი ნოტარიუსთან, მაშინვე სასიმაერომ აკოცა სასიძოს და მისცა ხელში ეს საბუთი.

ამ საქმის შესრულება და სიძესიმამრის პირ-კოცნა იყო დ. უვირილაში და სასძლო კი იყო სოფელში; იმან არც კი იცოდა, თუ ეს საქმე ხდებოდა. შემდეგში, როცა შეიტყო, ისიც გაიგო, რომ იმის საქრმო უხასიათო კაცი არისო, მაგრამ რადგან მშობლები დიდი მსურველი იყვნენ ამ საქმის დაბოლოებისა, ამისათვის დიდს უარს აღარც ის იყო.

სასიმაეროს 30 მაისს, კვირას, სადილათ დაჰკლა პირუტყვები, მოიწვია სტუმრები 100 სულამდინ და ქორწილი გააჩაღა.

დილის 10 საათზე მივედით მასპინძლისას სასიძო, მაყრები. მიგვიღეს, რასაკვირველია, ძველებურათ, მამაპაპურათ; ჩამოვხტით ცხენებიდამ, დავსხედით ძირს და, მაყრების რიგისა მებრ, გვაქვს ერთმანერთში მოსულს და დამხდურს ბაასი და სიცილი. მაგრამ ჩვენი სასიძო კი, რომელიც არის მიზეზი ჩვენის მხიარულებისა, თებერვალივით მოღრუბლულა და დაფიქრებულა; წარბებიც ერთი მეორეზე გადაუსკვნია.

დედოფალს, რასაკვირველია, გარს უტრიალებენ ქალები, რთავენ სხვა და სხვა ნაირათ, უცველიან ტანისამოსს; ხან ერთი გაუდგება განზე და იტყვის—ეს უფრო უხდებაო, და ხან მეორე. ბაათავეს თუ არა დედოფლის მორთვა, ჩვეულებრივად უნდა გვენახა და დაენიშნა სასიძოს.

ამ დროს ერთი გააქნია თავი სასიძომ და სთქვა:—თუ არ შევატყე, რამდენი წლის არის ჩემი საცოლო, ისე არ დავიწერ ჯვარს, ამიტომ რომ მცირე-წლოვანს ჩემს ნებაზე გავზდი და სრულ-წლოვანს კი ვერა! არწმუნეს წლოვანება; მაგრამ არ დაიჯერა: თუ მეტრიკა არ ვნახე, ისე არ დავიჯერებო. ბაგზავნეს კაცი ეკლესიაზე, მეტრიკის მოსატანათ; მაგრამ მღვდელმა ეკკლესიიდამ საბუთის გამოტანაზე უარი სთქვა; ამოეწერა წლოვანება და გამოეგზავნა; ქალი მეცხრამეტე წელში იდგა. მაგრამ არ

ერწმუნა კიდეე სასიძო. მასპინძლიდამ ეკკლესია იყო ოთხ ვერსზე. სასიძო თვითონ შეჯდა ცხენზე და წავიდა საბუთების გასაჩხრეკათ. ამ დაეიდარაბაში შეიქნა ნაშუადღეევის სამი საათი და ჩვენ ისეთ ნაირად მოგვშიედა, რომ ერთი ლუკმა ხორცი სულ გვერჩია სასიძოსაც და სასძლოსაცა!

მოეიდა სასიძო ეკკლესიიდამ დაბრუნებული; კმაყოფილი იყო, რადგან საცოლო აღმოჩნდა იმდენი წლოვანების, რამდენიც უთხრეს წინეთ

სასძლო ამ საქმროს მოქმედებაზე თურმე ძლიერ გულმოსულია; სირცხვილისა და ჯაერისაგან, ეს ლამაზი ქალი იმ ნაირს ფერსა და სახეზე შეიქნა, როგორც კუბოში მდებარე მიცვალებული; კიდეც სდომებოდა მაშინვე უარის-თქვა, მაგრამ ვინ გააბედვინა?

მოიწვიეს სასიძო და მისი მხლე კაცები ოთახში, შემოიყვანეს სასძლო და საქმროს მოუსვეს გვერდით.

ამ გაჯაერებულს და შეშინებულს ქალს ეს კაცი მიეკრა გვერდზე და ისე ჩაჩერდა ახლოს თვალებში, როგორც გადარეული; შემდეგ ადგა ფეხზე, დაუდგა პირ-და-პირ ახლო, წელში მოხრილი, ჩააჩერდა თვალებში და დაუწყო ჩხრეკა თავიდამ ფეხებამდინ. ტანსაცმელი არ გაუხდია, თორემ სხვა აღარაფელი დაუტოვებია გაუშინჯავი.

დატრიალდა იქვე და სთქვა: „ეჰ! თუმცა აღარ არის იმისთანა, მე რომ ერთხელ შეეხედე, მაგრამ რა გაეწყობა!“ წაიღო ხელი ჩამოსართმეევათ, მაგრამ ქალმა ხელი აღარ მისცა. ეცა მკლავში და ძალით ჩამოართვა ხელი.

შემდეგ ქალს ნიშანი შეუგზავნეს, მაგრამ არ მიიღო. ამ უთქმელმა და სოფელში გაზდილმა ქალმა უპასუხა ნიშნის მომტანს:

— მე დღეს ყოველს ჩემს მომავალ უბედურების, და უსიამოვნების დროს თვალით ეხედავ; ყოველი ის უბედურება, რაც მაგის ხელში მოგელოდა, მე დღეს მაგან თვალის წინ დამიხატაო. ამისათვის საუმჯობესოთ ერაცხ, სამარადისოთ უარი ვყოო გათხოვებას და თუ მაინც შეეირთე ქმარი, მაგის ცოლობას და მაგასთან ცხოვრებას მირჩევნია უბრალო მიწის მუშა გლეხს წავყვე და იმასთან ვიცხოვრო ღარიბათ. ბეთხოვ მორჩილათ, ეგ ნიშანიც მიართვი და მოახსენე წაბრძანდეს. მე ისე არ შეეირთავ იმას ქმრათ, როგორც ჩემს ძმას!“

ამის შემდეგ მშობლებმა და ნათესავებმა მიუშვეს ქალი თავის სურვილზე; მაგრამ გარეშე პირები დაესიენ და ეუბნებიან: ნუ კარგავ ბედს, ნასწავლი კაცია და შეირთეო! ყველას ლაპარაკს გაუძლო საწყალმა ქალმა, მაგრამ ეს ნიშნის მომტანი ეელარ მოიშორა ძველი თავსაკრავივით: ეუბნება: მე შემოგფიცავ ხატზე, რომ ძლიერ კარგი ხასიათის არისო! ქალი მაინც არ დათანხმდა.

ბოლოს სასიძომ ითხოვა, ერთს ოთახში მიჩვენეთ საცოლო და მარტო დედა დამესწროსო. მართლაც შეეიდა სახლში სანახავათ და ბოდიშის მოსათხოვათ, მაგრამ ეს საქორწინოთ, თვითრათ მორთული ქალი გავარდა გარეთ და მინდორში გაიქცა. ბაეკიდნენ უკან და ნიშნის მომტანი მოათრეედა ატირებულს ქალს ოთახში; მაგრამ იქ დამსწრე პირები მიცვივდნენ და წაართვეს ქალი, დაითხოვეს სასიძო და ამ ნაირად წავიდა უკან სასიძო, და ძლიეს ეიხსენით საწყალი ქალი ამ უსიამოვნო შემთხვევისაგან.

ამ დაეიდარაბაში საღამო შემოგვესწრო; ალების დღეს ჩვენში ძლიერ გაძლომა იციან, მაგრამ ისე გაგიძღათ მტერი, ჩვენ იმ დღეს გაეძეხით. ჩვენ კიდეე არაფერი: მაგრამ მღვდელმა, დიაკვნებმა და მაყურებელმა ქალმა და კაცმა დაღამებამდის მშიერებმა უცადეს ეკკლესიაზე. როცა მეფე ცარიელი წაბძანდა უკან, შემდეგ გვეღირსა უმეფო და უდედოფლო ქორწილი; მაგრამ იმისთანა უსიამო ჭამა თქვენს ავის მდომელს მიეცა, როგორიც ჩვენ მოგვეიდა: ზოგი ლხინობდა და ზოგი სტიროდა.

ეს საქმე მოიშალა, მაგრამ ის 900 მანეთის საბუთი, რომელიც ნასიმავრეეს უქადის 1800 მანეთის გარდახდას, კი ხელში აქვს ნასიძვარს. ნასიმამრეევი ეეედრება ცრემლით საბუთის უკან დაბრუნებას, მაგრამ ის არ უბრუნებს და პასუხათ ამბობს, რომ თუ არ შეუსრულებს საბუთს იმ ადგილებზე, არ შეიძლება ისე დაბრუნებაო; წინაალმდეგ შემთხვევაში, გარდაახდეევინებს 1800 მანეთს, ან თუ მისცემენ ისევ იმ ქალს, მაშინ კი სულაც გააუქმებს იმ საბუთს.

ამ ქალის შერთვას დღესაც ძლიერ ცდილობს ეს სასიძო. ქალს აშინებენ: ამ ფულებს გარდაახდეევინებენ მამაშენსო; მაგრამ ჯერ ყოჩაღათ არის: ის ფულები მაინც ჩემთვის უნდა მოეცა მამა ჩემსო; როცა ის წაიღებს, მე ადგილი აღარ მექნება მამა ჩემთანო, წავალ ეისმესთან, მოახლეთ მიეალ და ეიცხოვრებ გაძაღლებითო.

ამ საბუთის თაობაზე საჩივარი გაიმართა სამსაჯულოში და ვნახოთ— რა ბოლო ექნება საქმეს.

ზემო-იმერელი

---

**ბოლი, 25 ივნისს.** აგერ სამი თვეა, რაც აქაურმა ქალაქის თავმა უფ. ელიმირზოვმა გამოუცხადა გორელებს, რომ ბორში ახლად შემოღებულის სამოქალაქო წესდების შემოღებისათვის 2,500 მანეთია საჭირო და საროდიოთ შემოიტანთ ამ ფულს, უნდა მაკოდინოთო.

ბორელებმა მოიალაპარაკეს, ეს ფული რომელი ჯამიდამ მისცენ ქალაქის თავსა და მეტმა წილმა არჩია სამოქალაქო ფული მიეცათ; მაგრამ რამდენიმე პირმა პარტიები იშოვნა და არჩიეს სამოქალაქო ფულს კი ნუ მისცემენ და ბორში ყველა მამულის მქონეზედ გასწეროონ და ქალაქის თავს ჩააბარონ.

ეს ამბავი რომ თავადებმა და აზნაურებმა შეიტყეს, ძალიან ეწყინათ: ათმა და ოცმა კაცმა რომ სთქვასო, ბორში გაიწეროს ფულიო, იმისათვის უთუოთ უნდა გაიწეროსო? და მინამ ჩვენ მართებლობა არ გვიბძანებსო, გროშსაც არავის შეეცემთო. ეს ლაპარაკი ამ დღეს გადასდეს და შეიყარნენ კიდეე ამ თვის 9-ში სულ ოცი ამავე წინადადების მომხრე კაცი და კიდეე გადაწყვიტეს, რომ ბორში უნდა გაიწეროს ეს ფულიო. ეს ის პირნი არიან, რომელთაც ამოცდა-ათ წელიწადში ჩვენი სამოქალაქო საქმეები ჰქონდათ მინდობილი და როგორ მდგომარეობაშიაც მოიყვანეს, ეს თქვენც იცით.

ამათ წინაალმდეგ კრებაში ილაპარაკა ახლანდელმა ბორის დეპუტატმა უ. რამანოვმა, რომელიც ამტკიცებდა, უმჯობესი იქნებაო ხალხი არ შეეიწროედესო და ფული ისევ სამოქალაქო მიეცეს ქალაქის თავსაო, რადგანაც წრეულ ხალხს უამისოთაც სხვა-და-სხვა გადასახადები ბევრი ჰქონდაო. თუ ჰგონიათო, რომ ქალაქს ფული არა აქვსო, ნუ გეშინიანთ, 'გვაქვს წყაროო 'იმისთანაო, რომლიდგანაც მიეცემა ქალაქის თავს ფულიო. ამ რამანოვის სიტყვები არ ეჭაშნიკა რამდენიმე პირსა, და ერთმანერთს ჩურჩული დაუწყეს: ეს რამანოვი რა გამოდგა, რომ ერთი წელიწადია დეპუტატია და ამან ფული გადაანარჩუნა ქალაქისაო, როდესაც სხვა დეპუტატებს არავის გადაუნარჩუნებიაო! რამანოვის შურით, ხელათ განჩინება დაწერეს და ფულის გამწერები აარჩიეს.

ბასწერავენ ეხლა ბორში 'ფულსა და აკრეფა როგორ იქნება—ღმერთმა იცის.

ახლა აღმოჩნდა, რომ თუ არ ვალი, სხვა არაფერი შეუძენიათ ქალაქისათვის ჩვენ ძველ დეპუტატებს. ამას გარდა თქვენს გაზეთშიაც რამდენიმეჯერ იყო მოხსენებული' ის უკანონობა, რომელსაც ისინი ხშირად სჩადიოდნენ და იმათი სხვა კეთილი საქმეები. რაც ქალაქს ცოტაოდენი ფული აქვს ახლა, ეს სულ წლევანდელი დეპუტატებისაგანაა მოგროვილი.

დიდი იმედი აქვს ქალაქს, რომ, ახალ სამოქალაქო წესდებულების სრულად შემოღების გამო, იმის საქმეები ცოტაც არის მაინც უკეთესს მდგომარეობაში იქნება და ყველა უბრალო საქმისათვის ახალი ხარჯის გაწერა აღარ იქნება საჭირო.

თქვენ გეცოდინებათ, რომ როგორც ახალციხეს, ისე აქაც ხმოვანთა (დეპუტატთა) რიცხვი ორმოცდა-ორი იქნება.

ა. თუთაევი

---

# უცხო ქვეყნები

**ოსმის ამბავი.** მოგვყავს რამდენიმე ცნობა სერბიისა და ოსმალეთის ჯარზე და საზოგადოთ იმათ სამხედრო ძალაზე; რადგან ახლა, როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შუა ბრძოლაა ამტყდარი, ამათი სამხედრო ღონის-ძიების გაცნობა, უეჭველია, საინტერესო იქნება.

სერბიაში სულ ერთი მილიონი და ორასი ათასი მცხოვრები ითვლება. ეი ეს ერთ მუჭა ხალხი ეჭიდავის ახლა ოსმალეთის იმპერიას, რომელშიაც ოც-და-ხუთ მილიონზე მეტი მცხოვრებია სხვა და სხვა თემისა და სჯულის ხალხი.

სამხედრო სისტემა სერბიისა იგივეა, რომელიც პირველად პრუსიამ შემოიღო მეროპაში: ესე იგი ყველა სერბიელი მოვალეა, თუ სამშობლოს საჭიროება მოითხოვს, 20 წლიდამ 50-მდი სამხედრო სამსახურში იმსახუროს. ოსრგვარი ჯარია სერბიაში, ერთი მუდმივი არმია და მეორეც სახალხო. სახალხო არმიის რიცხვი შეადგენს თითქმის—127,000 კაცს ყოველგვარს ჯარს, 6,050 ცხენითა და 132 ზარბაზნით. მუდმივი ჯარის რიცხვიც რომ მოუმატოთ ამას, გამოვა, რომ სერბიას შეუძლია 133ათასი კაცი, 204 ზარბაზანი და 7 ათასი ცხენი გაიყვანოს ბრძოლის ველზე.

ველა სალდათები ჩინებული, ახალი სისტემის (მსრაფელ-მსროლელი) თოფებით არიან დაიარაღებულნი. ზარბაზნებიც კარგი აქვთ. ამას გარდა სერბიას ბევრი თოფები, რევოლვერები, ზარბაზნები და ხრმლები არსენალებში აქვთ შენახული; ასე რომ სჩანს, სერბია დიდი ხნიდამ ემზადებოდა ოსმალეთთან საომრად და ნელ-ნელა ამზადებდა ყოველგვარ საომარ იარაღს.

ამ საკუთრივ სერბიის სამხედრო ძალას უნდა მიემატოს აგრეთვე 17 ათასი კარგად დაიარაღებული და მთელს ქვეყანაში მხნეობით გამოჩენილი ჩერნოგორიის ჯარი; აგრეთვე თითქმის 10 ათას კაცამდი, რომლის გამოყვანა ბრძოლის ველზე ბერცოგოვინელებს შეუძლიანთ.

ამნაირად სერბია 150,000 კაცის გამოყვანას შეიძლებს ოსმალეთთან საბრძოლველად; ჩვენ არ ვანგარიშობთ ეოლონტერებს, რომელნიც თავის ნებით მიდიან სერბიაში სლავიანურ სხვა-და-სხვა ქვეყნებიდამ, რუსეთიდამ და აგრეთვე უცხო ქვეყნებიდამ, და რომელთ რიცხვი, უეჭველია, რამდენიმე ათასი მაინც იქნება.

რაიცა შეეხება ოსმალეთის სამხედრო ძალას, მცოდნე კაცების სიტყვით, ეს ძალა, რიცხვით სერბიისაზე უფრო დიდი იქნება, მაგრამ ენერგიით, დაიარაღებითა და აღტაცებით ნაკლები. მეროპის ოსმალეთში საბრძოლელად ხონთქარს 190,000 კაცის გამოყვანა შეუძლიანო, ამბობენ. მაგრამ ეს მხოლოთ ქაღალდით, ნამდვილ კი იქნება ასი ათას კაცზე მომეტებული ვერ გამოიყვანონ ბრძოლის ველზედ. თუმცა ძალიან გულით ჰსურდათ ერთი მუჭა აჯანყებულ ბერცოგოვინელების დამორჩილება, მაგრამ 40 ათასი კაცის მეტის გამოგზავნა ვერ მოახერხეს იმათ დასამშვიდებელად.

თუ ამასთანავე ეიტყვით, რომ ერთის მხრით სერბიის ჯარი აღტაცებული უნდა იყოს მამულის განთავისუფლების ჰაზრითა და იმას უკეთესი წყობილებაცა აქვს, და ოსმალები კი არავითარ დისციპლინას

არ ემორჩილებიან, ჯამაგირის მიუღებლობისა და ხშირად შიმშილისაგან გულ-ავარდნილი და უხალისოდ მებრძოლნი უნდა იყვნენ,—თუ ყველა ამას მიეღებთ მხედველობაში, მაშინ იქნება წინათვე შეიძლოს კაცმა იმის თქმა, რომ ამ ბრძოლიდამ გამარჯვების შანსი უფრო სერბიელებისკენ უნდა იყოსო.

— ამ თფილისში მოსული ტელეგრამების ვერა გაგვიგია რა სწორეთ: ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე შეტაკებაზე „თფილისის მოამბეში“ იბეჭდება დეპეშები, რომ ოსმალოებმა დაამარცხეს სერბიელებიო, და „კავკაზში“ კი ამის წინააღმდეგ იწერებიან, რომ სერბიელებმა ოსმალეთის ჯარს მტვერი აადინესო! თუ არ ამ გაზეთების საშუალებით, ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, რომ ომის თამაშაზე რაიმე ამბავი შევიტყოთ, და ეს გაზეთები კი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ამათი ტელეგრაფის აგენტსტვოები ასე უკულმართ ამბებს გვაცნობებენ. მაგალითად, „კავკაზმა“ დიდი ხანია გვაცნობა, რომ ნიშის ციხე-ქალაქი სერბიის ღენერალმა ჩერნიაევმა აიღოო, და გუშინდელ „თფილისის მოამბის“ ტელეგრამმა კი გვაცნობებს, რომ სერბიისა და ოსმალოს ჯარს ჯერ თავ-თავიანთი პოზიცია უჭირავთ, მალე ნიშთან დიდი ბრძოლა იქნებაო, ბელინისთან სერბიის ჯარი ძალიან დამარცხდა ოსმალოებისაგანაო, ჩერნიაევს ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ ოსმალეთის მიწაზედო და სხვ.

— სანუგეშო არ არის სტამბოლიდამ მოსული ამბები: ხონთქარი, როგოც ამბობენ, ძალიან სუსტი და უენერგიო კაცი გამოდგა; სტამბოლში მუდამ არეულობა და უწესობა ხდება; ამბობენ, რომ ჩერქეზებსა და სხვა მომხრეებს ძველი მოკლული ხონთქრისას შეთქმულობა შეუდგენიათ, წამლის სარდაფები, არსენალი და თვით სასახლეებიც ლაბით უნდათ აფეთქონო, მილები გაუყვანიათო და სხვ. ამ ხმებს ძალიან შეუშინებია ხონთქარი ასე, რომ იმის ბრძანებით ყველა სასახლეებს ჯარები ასვია გარსაო და ამისაგან არისო, რომ ამდენ ხანს გვირგვინის დასადგმელადაც ვერ წასულა ეიუბის მეჩეთშიო.

# განცხადებანი

კავკასიის ნამესტნიკის მოადგილე საძმართველო ამით აცხადებს, რომ, კავკასიის კამიტეტისაგან ამ წლის 26 მაისის უმაღლესად დამტკიცებულის წესდებულებით, დადგენილია ზოგიერთი ცვლილებანი, დამატებანი და მოსპობა სასმელების გადასახადის წესდებისა, რომელიც კავკასიის აქცთა მხარეს შეეხება. უმთავრესნი მუხლნი ამ ახალ გამოცემულ დადგენილებათა არიან შემდეგნი:

1). პურის სპირტისა და ღვინის აქციზი კავკასიის აქცთა მხარეს ამ წლის 1 ივლისიდამ გასწორებულია დანარჩენი რესეთის აქციზთან, რომელიც შეადგენს 7 კაპიკს უწყლო სპირტის ვედროზედ.

2) ყურძნისა და ხილის არაყის აქციზი შემდეგია დადგენილი: ყურძნისა და უმი ხილის არაყზე: ა) რომელსაც უბრალო ცეცხლის ქარხანაზე ხდიან კუბის სიდიდე ვედროზე გადახდება დღეში—ხუთი შაური, და ბ) რომელსაც ორთქლის ქარხანაზე ხდიან—ორი აბაზი და ერთი კაპ. ვედროზედ დღეში; ქიშმიშისა და ხმელი ხილის არაყზე, ცეცხლის ქარხანაზე, კუბის სიდიდე ვედროზე დღეში—ორი მანეთი და თექვსმეტი კაპეიკი გადახდება და ორთქლის ქარხანაზე—სამი მანეთი და ოთხმოცდაცამეტი კაპ.

3) პატენტის (მოწმობის) გადასახადი იგივე დარჩება, რაც ადრე იყო, ე. ი. რაც 13 თებერვალს 1873 წელს დაწესდა.

4) ხილის არყის ქარხნებზე, საც არაყს მარტო თავის საკუთარი ხილისაგან არ ხდიან, არაყის სახდელი ქვაბები ყველა ერთად 50 ვედროზე მეტი არ უნდა გამოდიოდეს.

5) ის უპირატესობა, რომელიც, სასმელთა წესდების სტატიის 177, შენიშვნის 2 ძალით, მინიჭებული ჰქონდათ კავკასიის აქცთა მხრის ბაღის მეპატრონეებს, მოისპობა, და ნაცვლად მისა მიეცემათ, უფლება, (დამატება 166 და 173 სტ.), რა ზომისაც ჰ ურთ, იმ ზომის არყის ქვაბები იქონიონ, მხოლოთ 50 ვედროზე ნაკლები და აიღონ არყის გამოხდის სურვილის მოწმობა, მხოლოთ შვიდ დღეზი ნაკლების ვადით. და

6) ხელ-ახლად ძალა მიეცემა კავკასიის აქცთა მხარესა სასმელთა წესდების 285 მუხლს, რომლის ძალითაც ღვინისა და არყის სიმაგრე შენახვისა და გაყიდვის დროს არა ნაკლებ 40% (გრადუსი) უნდა იყოს ტრალლასის სპირტომეტრითა. (3—2)

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი
## სამშობიარო ღოშპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ღოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 9½-მდი დოქტორი არტემიევი და 9½-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და ქაპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე ორჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

# საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

**რ ი ს ბ უ ტ მ ა ნ ი, ქ ი მ ი კ ო ს ი პ ე მ ტ ი ტ ა მ,**

**იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე**

**რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყვების სასახლეებისაგან.**

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და ძთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მიეიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

**ზ ა მ ო მ გ ო ნ ი ს პ ა ს უ ხ ს ა გ ე ბ ს.**

**ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.**

**პრეის-ქურანტი:**

**წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და** თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.

**უმთავრესი დეპოს**ა**ر**ის თ ფ ი ლ ი ს ში, დეორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ში, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; ს ტ ა ვ რ ო პ ოლ ში—ქურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის საღებავი.** 54—24

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | 68 | - | 38 | |
| ბორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ძუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ძუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნახ. დ. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

## ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ძუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . | 3 | 75 |

## ფოსტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ძუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

## ბირჟა

| პეტერბურგი, 26 თებათ. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიეში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისსახი) | 203 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 201 | 75 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. საახ. ბანკისა. | — | -- |
| ხერსონის ბანკის (5½) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

## მაზანდა

| თფილისი, 29 თებათ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური შორაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| ბაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 70 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | — |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 18 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюня 1876 г. Типографія Меликова и К°.* ზამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.